ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი - EMC
Human Rights Education and Monitoring Center (EMC)

# შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის პერსპექტივები

## ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება


სოფო ვერძეული

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)


თებერვალი, 2015

# სისტემის შეფასება

- უწყების ხელში თავმოყრილი ჭარბი ძალაუფლება გამორიცხავს სისტემის კონტროლსა და დაბალანსებას სხვა ინსტიტუტების მხრიდან;
- მყარი პოლიტიკური ვერტიკალი ქმნის სისტემის პოლიტიზირების საფრთხეს;
- სისტემა მიდრეკილია ბუნდოვანი და გაუმჭვირვალე მართვის ფორმებისკენ;
- სამართალდამცავი სისტემა დარჩენილია ადეკვატური და ეფექტური პასუხისმგებლობის მექანიზმების გარეშე;

# რეფორმის მიმართულებები

- ძალაუფლების დეკონცენტრაცია;
- მმართველობის დეცენტრალიზაცია;
- კანონზე დაფუძნებული და ღია მმართველობის პრინციპის დანერგვა;
- ეფექტური პასუხისმგებლობის სისტემის შექმნა;

# დეკონცენტრაცია

- უშიშროებისა და უსაფრთხოების სამსახურების გამოყოფა შსს-დან;
- უშიშროების ორგანოების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და საქმიანობის სტანდარტების ახლებურად ჩამოყალიბება;
- შსს-ში დარჩენილ უწყებებს შორის (განსაკუთრებით, პრევენციულ და საგამოძიებო ორგანოებს) შორის ურთიერთობების ფორმალიზება;

# დეცენტრალიზაცია

- მნიშვნელოვანი დეპარტამენტებისთვის ხელშესახები ავტონომიის მინიჭება (შუალედური რგოლის თანამდებობის პირთა დამოუკიდებლობის გაძლიერებით);
- სხვადასხვა სტრუქტურების მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებულების მოცულობის გადახედვა, (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენერალური ინსპექციის შემთხვევა);
- ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაძლიერება საპატრულო პოლიციის ანგარიშვალდებულების საკითხში;
- სისტემის თანამშრომელთა არასათანდო გავლენებისგან დაცვის გარანტიების გაზრდა, მათ შორის, პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმის გზით;

# კანონზე დაფუძნებული და ღია მმართველობის პრინციპის დანერგვა

- უწყების შიგნით ინფორმაციის დამუშავების, შენახვისა და გაცვლის წესების მკაცრი რეგლამენტირება;

- საინფორმაციო ბაზების წარმოების წესების განსაზღვრა;

- პრევენციული და საგამოძიებო უწყებების ურთიერთობის ინსტიტუციონალიზაცია, მათ შორის, ინფორმაციის მიმოცვლის წესების ფორმალიზება;

- კანონმდებლობისა და სტანდარტების ჰარმონიზაცია, მათ შორის, უშიშროების სამსახურების მარეგულირებელ აქტებში;

- შსს-ს დეპარტამენტებს შორის უფლებამოსილებების მკაცრი გამიჯვნა და ნათლად რეგლამენტირება;

# ეფექტური პასუხისმგებლობის სისტემის შექმნა:

- გენერალური ინსპექციის რეფორმა, მისი დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის გზით;

- საქმის სამართლიანი განხილვის პროცედურების დანერგვა შიდა დისციპლინური წარმოების პროცესში;

- დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების მიზნით;

- დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს დისტანცირება მოქმედი საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოებიდან

მადლობა ყურადღებისთვის!